საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 34.6%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 26.9%, „ევროპულ საქართველოს“ – 14.8%, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალ საქართველოს“ – 10.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ხარისხის არხის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „ჩაი და პოლიტიკა“, „კონსენსუსი“, „დისკუსია“, „არჩევნები-2017“ და „საზოგადოებრივი პოლიტიკა“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ჩაი და პოლიტიკა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ: „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ახალი საქართველოს“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენლები, დამოუკიდებელი კანდიდატები ა. ელისაშვილი (ორჯერ) და ჯოზეფ სმიტი (ორჯერ).

გადაცემას „კონსენსუსი“ სტუმრობდნენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველოს“ (სამჯერ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ), „ახალი საქართველოს“ (ერთხელ), „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემის ფარგლებში შედგა დებატები „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის.

გადაცემას „დისკუსია“ სტუმრობდნენ და დებატები შედგა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ) და „ქართული ოცნების“ (სამჯერ) წარმომადგენლებს შორის. **გადაცემის წამყვანის განცხადებით „ევროპული საქართველოს“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.**



გადაცემას „არჩევნები-2017“ სტუმრობდნენ: „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ორჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ხალხის პარტიის“ (ორჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ), „ზვიადის გზა–უფლის სახელით“ (ერთხელ), „სახალხო–ხალხის ერთსულოვნება“ (ერთხელ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში დებატები შედგა „ქართული ოცნების“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებს შორის, „ევროპული საქართველოს“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის, „ევროპული საქართველოს“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის, „ხალხის პარტიას“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის, „ხალხის პარტიას“ და „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიის“ წარმომადგენლებს შორის, „ზვიადის გზა–უფლის სახელით“ და „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენლებს შორის.



გადაცემას „საზოგადოებრივი პოზიცია“ სტუმრობდნენ: „ქართული ოცნების“ (ხუთჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ხუთჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ოთხჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (სამჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ოთხჯერ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში დებატები შედგა „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის, „ქართული ოცნების“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებს შორის, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ხარისხის არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ხარისხის არხის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.qch.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ხარისხის არხის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „იმერ TV“

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ დათმობია.

„იმერ TV“-ს ეთერში განთავსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებს საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არ სტუმრობდნენ.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმერ TV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იმერ TV“-ს საჯაროდ გამოცხადებულია (<http://www.imertv.ge>) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იმერ TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

შპს დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისი“

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ დათმობია.

„ეგრისის“ ეთერში განთავსებული იყო გადაცემა „დებატები 2017“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ და დებატები შედგა „ევროპული საქართველოს“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“, „შენების მოძრაობის“, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის. გადაცემის წამყვანის განცხადებით გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელმა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ეგრისის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ეგრისის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.egristory.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ეგრისის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“

საუკეთესო დროს⁷ საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ - 53.6%, „ქართულ ოცნებას“ - 31.9%, „ევროპულ საქართველოს“ - 14.4%, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ პარტიას 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

სამაუწყებლო არხის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „განსხვავებული აზრი“, „სტუდია რე“, „კონსესუსი“ და „სტუდია მონიტორი“.


⁷ სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

გადაცემას „კონსესუსი“ სტუმრობდნენ და დებატებში მონაწილეობა მიიღეს: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ქართული ოცნების“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“, „რეფორმატორების“ წარმომადგენლებმა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „აფხაზეთის ხმის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„აფხაზეთის ხმის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.abkhaziafm.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„აფხაზეთის ხმის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო



შპს „ეკომი“ („ლტვ“)

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 38.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 30.5%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობა-თავისუფალ საქართველოს“ - 11.9%, დამოუკიდებელ კანდიდატ ა. ელისაშვილს - 11.3% (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 29.8%, „ევროპულ საქართველოს“ - 29.7%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 27.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„ლტვ“-ს ეთერში განთავსებული იყო გადაცემა „დიალოგი - არჩევნები 2017“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი. **გადაცემის წამყვანის განცხადებით დებატებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს „ქართული ოცნების“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ და „ახალი საქართველოს“ წარმომადგენლებმა.**

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ლტვ“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


„ლტვ“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.



„ლტვ“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



Prime Time



სხვა დრო







შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღა“

საუკეთესო დროს⁸ საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 21.1%, „ქართულ ოცნებას“ – 16.6%, „ევროპულ საქართველოს“ – 16.4%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ – 13.4%, „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობა–თავისუფალ საქართველოს“ – 13.4%, „შენების მოძრაობას“ – 10%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


⁸ სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;



„მეცხრე ტალღის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა „თემა“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ: „ერთიან ნაციონალურ მოძრაობის“ (ხუთჯერ), „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ოთხჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (სამჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველოს“ (ორჯერ), „შენების მოძრაობის“ (ერთხელ) და „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენელი. ამავე გადაცემის ფარგლებში დებატებში შედგა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობის“, „ქართული ოცნების“, „ევროპული საქართველოს“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველოს“, „შენების მოძრაობის“ და „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენლებს შორის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მეცხრე ტალღის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„მეცხრე ტალღას“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.nwbc.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მეცხრე ტალღას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „ბათუმი 777“

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“⁹ დაეთმო.

„ბათუმი ტვ“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „თქვენი არჩევანი“, „განსხვავებული აზრი“ და „მრავალკუთხედი“.


გადაცემას „თქვენი აზრი“ სტუმრობდნენ: „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) და „საქართველოს ერთობისა და განვითარების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

⁹ დიაგრამა არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან დრო მხოლოდ ერთ პოლიტიკურ გაერთიანებას დაეთმო.

გადაცემას „განსხვავებული აზრი“ სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი (ერთხელ).

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „ბათუმი ტვ“-ს წინასაარჩევნო პერიოდში უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისათვის დრო გამოყოფილი არ აქვს¹⁰.

„ბათუმი ტვ“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეკომპანია ქართული არხი“

„ქართული არხის“ სამაუწყებლო ბადეში საანგარიშო პერიოდში განთავსებული არ ყოფილა ახალი ამბების პროგრამა.

„ქართული არხის“ ეთერში საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები განთავსებული არ არის.

„ქართული არხის“ საჯაროდ გამოცხადებული და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

¹⁰ აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიის მიერ არ ხორციელდება ყოველკვირეული ფორმების კომისიაში წარდგენა.

აიპ „ინფორმაციული უზრუნველყოფის ცენტრი ჯიხა“¹¹

„ჯიხას“ სამაუწყებლო ბადეში საანგარიშო პერიოდში განთავსებული არ ყოფილა ახალი ამბების პროგრამა.

„ჯიხას“ ეთერში საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები განთავსებული არ არის.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ჯიხას“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ჯიხას“ საჯაროდ გამოცხადებულია (<http://jikhvatv.ge>) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ჯიხას“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.

შპს „გაზეთი აქარა PS“ (TV 12)

საუკეთესო დროს¹² საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ – 43.1%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 37.8%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ – 18.9%, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ პარტიას 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).




„TV 12“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „მედიატორი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „ევროპული საქართველოს“ (ოთხჯერ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ოთხჯერ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველოს“ (ოთხჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „ახალი საქართველოს“ (ორჯერ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) და „საქართველოს ერთობისა და გაერთიანების“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

„TV 12“-ის საჯაროდ გამოცხადებული (<http://adjaraps.com/>) და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

¹¹ კომპანიის მიერ კომისიაში წარმოდგენილი წერილის შესაბამისად, ტექნიკური მიზეზების გამო კომპანიის მიერ მაუწყებლობა შეწყვეტილია 2017 წლის 16 ოქტომბრიდან;

¹² სამაუწყებლო ბადეში საინფორმაციო გამოშვება განთავსებულია მხოლოდ საუკეთესო დროს;

ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.



**შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი“
(სდასუ TV)**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 41.5%, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალ საქართველოს“ - 17.7%, „ევროპულ საქართველოს“ - 11%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 41.5%, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალ საქართველოს“ - 17.7%, „ევროპულ საქართველოს“ - 11%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„სდასუ ტვ“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „პოლიტიკური ასპექტები“ და „პოლიტიკური სპექტრი“.




გადაცემას „**პოლიტიკური ასპექტები**“ სტუმრობდნენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა–თავისუფალი საქართველოს“ (ერთხელ), „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები და დამოუკიდებელი კანდიდატი ჯ. სმიტი (ერთხელ),



გადაცემას „**პოლიტიკური სპექტრი**“ სტუმრობდნენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „მემარცხენე ალიანსის“ (ერთხელ), „ახალი საქართველოს“ (ერთხელ) და „შენების მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „სდასუ TV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„სდასუ TV“-ს საჯაროდ გამოცხადებულია (sdasu.edu.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„სდასუ TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტნაკლებად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „სიგულდა“ (TV Max)


საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 23.1%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 21.9%, „ევროპულ საქართველოს“ - 19.6%, „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზას“ - 10.8%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ - 10.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ - 23.1%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 21.9%, „ევროპულ საქართველოს“ - 19.6%, „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზას“ - 10.8%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ - 10.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


„TV Max“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „დიალოგი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ და დებატები შედგა „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ), „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზის“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წარმომადგენლებს შორის. გადაცემის წამყვანის განცხადებით „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელმა უარი განაცხადა გადაცემაში დებატებში მონაწილეობაზე.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შპს „სიგულდას“ მიერ წინასაარჩევნო პერიოდში უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისათვის დრო გამოყოფილი არ აქვს.


„TV Max“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




სხვა დრო



Prime Time



სხვა დრო



ახალ ამბებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის დათმობილი დრო



ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული გაზეთები:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არჩევნების გამოცხადებიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გაზეთები, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ვალდებული არიან დაიცვან ამავე კანონმდებლობით განსაზღვრული წესები. ამავე კოდექსის 51-ე მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად, ასევე „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს N9 დადგენილების საფუძველზე კომისია უზრუნველყოფს მედიის მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის მონიტორინგს და ახორციელებს რეაგირებას შესაბამის დარღვევებზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებისგან, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობებისგან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს ცენტრალური ან/და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაწილობრივ, თანადაფინანსებით ან სრულად დაფინანსებული გაზეთების თაობაზე.

კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე წინასაარჩევნო მედია მონიტორინგს დაექვემდებარა შემდეგი გაზეთები: შპს „სამტრედიის მაცნე“; შპს „საგამომცემლო ცენტრი საერთო სიტყვა“ – „საერთო სიტყვა“; შპს „თვითმმართველობის მაცნე“; შპს „ეგრისის მაცნე“; გაზეთი „ახალი საქართველო“; ა(ა)იპ თავისუფალი პრესა - გაზეთი „მარტვილი“; ა(ა)იპ მასმედი ჩხოროწყუ - გაზეთი ჩხოროწყუ; გაზეთი „გორის მაცნე“; გაზეთი „მცხეთა“; შპს „შირაქი“ - გაზეთი „შირაქი“; გაზეთი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტი“; გაზეთი „ხოზის მოამბე“; შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარა“; გაზეთი „თიანეთის მომავალი“; გაზეთი „ახალი წყალტუბო“; გაზეთი „ლეჩხუმი“; გაზეთი „ახალი ხარაგაული“; ააიპ „გურჯაანის მუნიციპალური მაცნე“ - გაზეთი „გურჯაანი“; შპს „მედია - ცენტრი“ - გაზეთი „ყვარელი“; გაზეთი „ხაშურის მოამბე“; გაზეთი „სვანეთი“; გაზეთი „ჩემი აფხაზეთი“; გაზეთი „კოლხეთი“; გაზეთი „სიღნაღი“; „ქარელის მოამბე“; გაზეთი „ვრასტანი“; გაზეთი „გურჯისტანი“; გაზეთი „ბახტრიონი“; შპს „გაზეთი ბოლნისი“; შპს „მეურვე“; ააიპ კავშირი პრესა საქართველო; „ჩემი გაზეთი“; გაზეთი „თერჯოლა“; გაზეთი „ლიტერატურული მესხეთის“ ჩანართი „ასპინძის სიახლენი“.

ზემოთ ჩამოთვლილი 34 გაზეთიდან კანონით დადგენილი წესით და ვადებში ინფორმაციას მხოლოდ 19 გაზეთი წარმოადგენს, ესენია: შპს „სამტრედიის მაცნე“; ა(ა)იპ მასმედი ჩხოროწყუ - გაზეთი ჩხოროწყუ; გაზეთი „გორის მაცნე“; შპს „შირაქი“ - გაზეთი „შირაქი“; გაზეთი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტი“; გაზეთი „ხოზის მოამბე“; შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარა“; გაზეთი „თიანეთის მომავალი“; გაზეთი „ახალი წყალტუბო“; ააიპ „გურჯაანის მუნიციპალური მაცნე“ - გაზეთი „გურჯაანი“; შპს „მედია - ცენტრი“ - გაზეთი „ყვარელი“; გაზეთი „ხაშურის მოამბე“; გაზეთი „ჩემი

აფხაზეთი“; გაზეთი „ბახტრიონი“; შპს „გაზეთი ბოლნისი“; გაზეთი „თერჯოლა“; გაზეთი „ლიტერატურული მესხეთის“ ჩანართი „ასპინძის სიახლენი“; გაზეთი „ახალი ხარაგაული“; გაზეთი „კოლხეთი“.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით კომისიაზე დაკისრებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიზნით, კომისიამ კერძო კომპანიების საშუალებით სცადა განეხორციელებინა იმ გაზეთების საკონტროლო შესყიდვა, რომლებიც კომისიაში შესაბამის ინფორმაციას არ წარმოადგენდნენ, თუმცა პრესის გავრცელების ბაზარზე წარმოდგენილ კომპანიებს შემოთხენებული გაზეთები ჩამონათვალში არ აქვთ, რის გამოც კომისიამ კიდევ ერთხელ მიმართა შესაბამის მუნიციპალიტეტებს და სთხოვა გაზეთების წარმოდგენა.

გამოვლენილი დარღვევები:

– კომისიამ 8 ორგანიზაციას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების წესის დარღვევით გამოქვეყნების გამო (საუბარია ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დაკვეთით „Edison Research“-ის მიერ ჩატარებული არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებაზე (08.10.2017)), 8 ორგანიზაციას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა და შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის (საქალაქო) სასამართლოს გადაუგზავნა.

ეს ორგანიზაციებია: შპს „ტელეკომპანია პირველი“; ა(ა)იპ „ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო“; შპს „გურიის მოამბე“; შპს „ახალი ამბები“, ბრენდული სახელი „ინტერპრესნიუსი“; შპს „Georgian National News“, ბრენდული სახელი GNN; შპს „New Post“; შპს „ომედია“, ბრენდული სახელი on.ge; ა(ა)იპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა).

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს:

- ა) ორგანიზაცია, რომელმაც ჩატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა;
- ბ) საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამკვეთი ან დამფინანსებელი;
- გ) კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანამიმდევრობა;
- დ) სავლე კვლევის ჩატარების დრო;
- ე) გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი;
- ვ) რა არეალში ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა;
- ზ) ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს;
- თ) იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა;

ი) შერჩევის ზომა;

კ) ცდომილების ფარგლები;

ლ) ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე.

– კომისიამ 10 ტელე და რადიომაუწყებელს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 10 მაუწყებელს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრა.

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია წინასაარჩევნო პერიოდში მედია მონიტორინგს ახორციელებს. მონიტორინგს ექვემდებარება ყველა საერთო მაუწყებელი, ასევე ის სპეციალიზებული მაუწყებელი, რომელიც გადაწყვეტს საკუთარ სამაუწყებლო ბადეში განათავსოს წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამა და ის გაზეთები, რომლებიც ფინანსდება ადგილობრივი ან ცენტრალური ბიუჯეტიდან. კომისიამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედია მონიტორინგის პირველი შუალედური ანგარიში, რომელიც 23 აგვისტოდან 23 სექტემბრამდე პერიოდს მოიცავდა, 2017 წლის 4 ოქტომბერს გამოაქვეყნა. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ რიგი მაუწყებლები საკუთარ სამაუწყებლო ბადეში არ ანთავსებენ საინფორმაციო გამოშვებებს ან/და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებს. ეს ტელემაუწყებლებია: შპს „ტელეკომპანია ეგრისი“, შპს „ტელეკომპანია ქართული არხი“, ა(ა)იპ „ინფორმაციული უზრუნველყოფის ცენტრი ჯიხა“, შპს „ტელე-რადიო პრესკომპანია ზარი“, შპს „ეკომი“, შპს „დამოუკიდებელი ტელერადიოკომპანია ოდიში“. აღნიშნული რადიომაუწყებლებია შპს „ჰამბურგი“ (რადიო ცხელი-შოკოლადი), შპს „კომპანია მედიასტრემი“ (რადიო ენერჯი), შპს „ფოთი ტვ“ და შპს „რ-რადიო“.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საერთო მაუწყებლობა არის არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის, პროგრამებით მაუწყებლობა.

კომისიის საჯარო სხდომები 2017 წლის 26 ოქტომბერს და 02 ნოემბერს გაიმართა. სხდომებზე მოწვეული იყო ყველა კომპანიის წარმომადგენელი. არსებული დოკუმენტაციის შესწავლის და მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, კომისიამ ცხრა მაუწყებელი - შპს „ტელეკომპანია ეგრისი“; ა(ა)იპ „ინფორმაციული უზრუნველყოფის ცენტრი ჯიხა“; შპს „ეკომი“, შპს „ფოთი ტვ“; შპს „დამოუკიდებელი ტელერადიოკომპანია ოდიში“; შპს „ჰამბურგი“ (რადიო ცხელი-შოკოლადი); შპს „ტელე-რადიო პრესკომპანია ზარი“, შპს „კომპანია მედიასტრემი“ (რადიო ენერჯი) და შპს „რ-რადიო“ წერილობით გააფრთხილა, ხოლო შპს „ტელეკომპანია ქართულ არხს“ 2 500 ლარის ოდენობით ჯარიმა დააკისრა, რადგან ტელეკომპანიას ბოლო ერთი წლის განმავლობაში აღნიშნული სახის დარღვევა მეორედ დაუფიქსირდა.

- კომისიამ შპს „სამაუწყებლო ტელეკომპანია რუსთავი 2“-ის და შპს „ტელეიმედის“ მიმართ საჩივარი განიხილა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შპს „სამაუწყებლო ტელეკომპანია რუსთავი 2“-ის და შპს „ტელეიმედის“ მიმართ საჩივარი განიხილა.

კომისიას განცხადებით აა(ი)პ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობამ“, მპგ „ევროპულმა საქართველომ - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ და „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი სამდივნომ“ მიმართა. აღნიშნული ორგანიზაციები ტელეკომპანიების „რუსთავი 2“-ის და „იმედის“ ეთერში მერიის დაკვეთით განთავსებული სარეკლამო რგოლების - „გაკეთდა თბილისისთვის“, შესწავლას და კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მათზე რეაგირებას ითხოვდნენ.

აღსანიშნავია, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66¹ მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეისყიდოს მაუწყებლის მომსახურება სოციალური რეკლამის განთავსებისთვის ამ კანონის 65-ე მუხლით განსაზღვრული დროის ხანგრძლივობის მინიმალური ზღვრის მიღმა სოციალური რეკლამის განთავსების ან/და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია მისი ბიუჯეტის ცალკე მუხლით. ასევე, ამავე კანონის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანო და მაუწყებელი ვერ თანხმდებიან იმაზე, არის თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მაუწყებლისთვის მიწოდებული მასალა სოციალური რეკლამა ან/და შეიცავს თუ არა იგი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, დავას წყვეტს კომისია ერთ-ერთი მხარის მიერ მისთვის შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

კომისიამ საჯარო სხდომაზე ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით განიხილა საკითხი და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი ვიდეო რგოლები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი არ იყო. ვიდეო რგოლებით - „გაკეთდა თბილისისთვის“ - კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს რეკლამირება ხდებოდა და აქედან გამომდინარე, არ შეესაბამებოდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 66¹ მუხლის, მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მიზანს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიის გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ ტელეკომპანიების „რუსთავი 2“-ის და „იმედის“ ეთერში სარეკლამო რგოლები - „გაკეთდა თბილისისთვის“ განთავსდა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, თუმცა კომისიამ ტელეკომპანიების მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა (წერილობითი გაფრთხილება) არ გამოიყენა.

კომისიაში მიმდინარე წარმოება:

2017 წლის 09 ოქტომბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში შემოვიდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმის“ საჩივარი (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-6/7767-17), რომლის თანახმადაც „შენების მოძრაობამ“, როგორც კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა წერილობით მიმართა შპს „ტელეკომპანია რუსთავი 2“-ს და შპს „ტელეიმედს“ და მოითხოვა მათ ეთერში განთავსებულ პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის მიღება.

აღნიშნული საჩივრის მიღების შემდეგ 2017 წლის 11 ოქტომბერს კომისიამ წერილობით მიმართა ორივე ტელეკომპანიას (წერილი N04/346717 და N04/346817) და მოსთხოვა მათ განმარტება „ეროვნული ფორუმის“ საჩივართან დაკავშირებით. 2017 წლის 18 ოქტომბერს კომისიაში შემოვიდა „რუსთავი 2“-ის საპასუხო წერილი (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-6/8078-17), სადაც ტელეკომპანია განმარტავს, რომ საეთერო ბადის დაგეგმარებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო ყველა კვალიფიციური სუბიექტის მიწვევა წინასაარჩევნო დებატებში და სტუმრების შერჩევისას ტელეკომპანია დაეყრდნო საზოგადოებრივი აზრის კვლევებს. აგრეთვე, წერილში აღინიშნა, რომ თუ სამაუწყებლო ბადის დაგეგმარებიდან გამომდინარე არჩევნებამდე კვლავ გაიმართებოდა დებატების პროგრამა, ტელეკომპანია აუცილებლად მიიწვევდა „შენების მოძრაობას“ დებატებში მონაწილეობის მისაღებად. 2017 წლის 23 ოქტომბერს კომისიაში შემოვიდა შპს „ტელეიმედის“ წერილი (კომისიაში რეგისტრაციის Nშ-6/8206-17), სადაც აღინიშნა, რომ დებატების პროგრამაში კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობა ვერ იქნა უზრუნველყოფილი ტექნიკური ხარვეზის გამო და არა დისკრიმინაციის მიზნით. წერილში აგრეთვე აღნიშნულია, რომ შედგა კომუნიკაცია „შენების მოძრაობასთან“ და მიღწეულ იქნა შეთანხმება, კერძოდ მათ თანაზომადი დრო დაეთმოთ სხვა გადაცემებში, სადაც შესაძლებლობა ჰქონდათ წარედგინათ საკუთარი საარჩევნო პროგრამა და ხედვები.

2017 წლის ადგილობრივი არჩევნების წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ შპს „ტელეკომპანია რუსთავი 2“-ის და შპს „ტელეიმედის“ ეთერში, მთელი წინასაარჩევნო პერიოდის მანძილზე „შენების მოძრაობა“ არ ყოფილა მიწვეული არცერთ წინასაარჩევნო პოლიტიკური დებატების პროგრამაში.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადაწყვეტს, წინასაარჩევნო კამპანია საკუთარ ეთერში გააშუქოს, წინასაარჩევნო დებატები უნდა გადასცეს არადისკრიმინაციულად და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით, თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის დროს.“ აგრეთვე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საერთო მაუწყებელმა მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს, აგრეთვე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არადისკრიმინაციულად უნდა უზრუნველყონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა წინასაარჩევნო დებატებში.“

აღნიშნული საკითხის კომისიის საჯარო სხდომაზე განხილვა იგეგმება 2017 წლის 09 ნოემბერს.

რეკომენდაციები:

„ტელემედის“ ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემები „მეგობრები“, „იმედის დღე“ და „რა დროს ძილია“, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ გიორგი მოსიძე, სოსო ჯაჭვლიანი, კახა კალაძე (ქართული ოცნება), ელენე ხომტარია (ევროპული საქართველო), ნინო ბოლქვაძე (რესპუბლიკელები) და დამოუკიდებელი კანდიდატი ა. ელისაშვილი.

„რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია არაპოლიტიკური გადაცემა „ნანუკას შოუ“ , რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ ზ. უდუმაშვილი და გ. ვაშაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა).

ზემოაღნიშნულ გადაცემებში რესპოდენტები გამოთქვამდნენ პოლიტიკურ მოსაზრებებს:

კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილეობის შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.